ხელშეკრულება N2022/01/56
შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 20 ივლისი 2022წ.

ერთი მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, (შემდგომში ,,შემსყიდველად“ წოდებული) წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსის ლანა ჯიბლაძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,მეამა'' (შემდგომში ,,მიმწოდებლად'' წოდებული) წარმოდგენილი დირექტორის ლუკა კაპანაძის სახით, (ორივე ერთად ,,მხარეებად“ წოდებული) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტისა და 2022 წლის 14 ივლისის N201648 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი.
1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის დანართიN1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ,,ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს 3 000 (სამი თასი) ლარს.
3.2 საქონლის ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) არაუგვიანეს 2022 წლის 25 ივლისამდე მიაწოდოს შემსყიდველს დანართი N1-ით გათვალისიწინებული საქონელი შემდეგ მისამართზე: თბილისი, გორგასლის ქ. #22.
ბ) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ნივთობრივად უნაკლო საქონლის (დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის) გადაცემა, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს.
გ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები.

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებისთანავე და უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება არა უგვიანეს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის სისტემური დეპარტამენტის ოფისისა და ინვენტარიზაციის მენეჯერი თორნიკე მანიჟაშვილი.
5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის შესახებ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი წერილობითი სახით შეატყობინებს მიმწოდებელს.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება წარმოებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
გ) დაფინანსების წყარო: მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში.
დ) ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული საქონლის შესაბამისად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
7.2 მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება საქონლის სრულად გაწევისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ (თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია), მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით, რის შესახებაც წინასწარ წერილობითი სახით უნდა აცნობოს ამ უკანასკნელს;
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტომდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის

შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22 **ხაზინის ერთიანი ანგარიში:** №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 სავალუტო კოდი: 202255407 სკ - 202238621	**შპს „მეამა“** **მისამართი:** თბილისი, ამილახვარის ქ.N2 **საბანკო რეკვიზიტები:** ა/ა GE07TB7625336020100005 **მომსახურე ბანკი:** სს ,,თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ს/კ 405139425 Meama LLC Digitally signed by Meama LLC Date: 2022.07.20 11:49:46 +04'00'
ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსი **ლანა ჯიბლაძე**	დირექტორი **ლუკა კაპანაძე**

დანართი N1

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**ჯამი (ლარი)**
კაფსულა 51მმ ტყის თხილის არომატით 12pc	შეკვრა	35.00	18.00	630.00
კაფსულა 51მმ ვანილის არომატით 12pc	შეკვრა	30.00	18.00	540.00
კაფსულა 51მმ ყვითელი 04 12pc	შეკვრა	30.00	18.00	540.00
კაფსულა 51მმ თხილი შოკოლადით 12pc	შეკვრა	35.00	18.00	630.00
კაფსულა 51მმ ნუშის არომატით 12pc	შეკვრა	20.00	18.00	360.00
კაფსულა 37მმ მწვანე 07 10pc	შეკვრა	5.00	15.00	75.00
კაფსულა 37მმ ტყის თხილის არომატით 11 10pc	შეკვრა	5.00	15.00	75.00
კაფსულა 37მმ ვანილის არომატით 12 10pc	შეკვრა	5.00	15.00	75.00
კაფსულა 37მმ ნუშის არომატით 17 10pc	შეკვრა	5.00	15.00	75.00

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
სკ - 202238621

შპს „მეამა“
ს/კ 405139425

ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების
სამსახურის უფროსი
ლანა ჯიბლაძე

დირექტორი
ლუკა კაპანაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2022 წლის 20 ივლისი

ვადასტურებ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ყავის კაფსულების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, **შპს ,,მეამასთან"** ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ლანა ჯიბლაძე

_____

ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსი

ეკატერინე აბაშიძე

_____

მსოფლიო ბანკის „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების
პროექტის" მიწის ბაზრის განვითრების კომპონენტის
შესყიდვების ასისტენტი